



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№356/1

2020 წელი, 9 ივნისი

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/484, 09.06.2020) განხილვის გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 139-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/484, 09.06.2020) განხილვის შემდეგი გრაფიკი:

ა) საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა (გარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა), საპარლამენტო ფრაქციებმა, უმრავლესობამ, დამოუკიდებელმა პარლამენტის წევრებმა, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილონ და შესაბამისი დასკვნები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 16 ივნისისა;

ბ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 16 ივნისისა საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დასკვნა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა - დასკვნა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ძირითადი პარამეტრების შესახებ;

გ) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა სხდომა გამართოს, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილოს და სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნების განხილვისა და შეფასების, აგრეთვე საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე მოამზადოს საბოლოო დასკვნა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 17 ივნისისა;

დ) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა თავისი დასკვნა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 18 ივნისისა;

ე) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გადაცემული დასკვნა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 18 ივნისისა;

ვ) საქართველოს მთავრობამ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 22 ივნისისა;

ზ) „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის დღესვე დაეგზავნოს პარლამენტის კომიტეტებს, საპარლამენტო ფრაქციებს, უმრავლესობას, დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;

თ) საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი განიხილოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 26 ივნისისა.

2. განხილვის გრაფიკი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე



არჩილ თალაკვაძე